

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის,  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

თბილისი

2025

## შინაარსი

|                                                                         |    |
|-------------------------------------------------------------------------|----|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა                                         | 3  |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                                      | 7  |
| მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება                    | 8  |
| საკუთარი კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება                              | 9  |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება                                            | 10 |
| 1 ზოგადი ინფორმაცია                                                     | 12 |
| 2 მომზადების საფუძველი                                                  | 12 |
| 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა                                     | 15 |
| 4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები                      | 27 |
| 5 ძირითადი საშუალებები                                                  | 31 |
| 6 აქტივები გამოყენების უფლებით                                          | 32 |
| 7 მარაგები                                                              | 33 |
| 8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                            | 33 |
| 9 ფული და ფული ეკვივალენტები                                            | 34 |
| 10 საგადასახადო აქტივი/ვალდებულება                                      | 34 |
| 11 წინასწარ გადახდილი ხარჯები                                           | 34 |
| 12 იჯარა                                                                | 34 |
| 13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                                        | 36 |
| 14 შემოსავალი რეალიზაციიდან                                             | 36 |
| 15 სხვა საერთო ხარჯები                                                  | 36 |
| 16 მოგება/ზარალი საკუთროს სხვაობიდან                                    | 37 |
| 17 არასაოპერაციო ხარჯები                                                | 37 |
| 18 ფინანსური ინსტრუმენტები                                              | 37 |
| 19 ფინანსური რისკების მართვა                                            | 38 |
| 20 კაპიტალის რისკის მართვა                                              | 41 |
| 21 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება                      | 41 |
| 22 გაუთვალისწინებელი გარემოებები                                        | 42 |
| 23 დაკავშირებული მხარეები                                               | 42 |
| 24 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები                            | 43 |
| 25 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება | 44 |
| 26 მმართველობის ანგარიშგება                                             | 45 |

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

*„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას*

## დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

### პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის, არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - პირობითი მოსაზრების საფუძველი - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს „აიარდ ენჯინერინგ“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული ფასს - ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად.

### პირობითი მოსაზრების საფუძველი

აუდიტის პროცესში, ჩვენ ვერ დავრწმუნდით 2023 წლის საწყის, 2023 და 2024 წლის ბოლოს სავაჭრო მოთხოვნების საბოლოო ნაშთების სისწორეში, რომელიც შეადგენს 4,344,208, 6,932,773 და 7,633,913 ლარს. ჩვენ ვერც ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სავაჭრო მოთხოვნებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტის პროცესში, ჩვენ ვერ დავრწმუნდით 2023 წლის საწყის, 2023 და 2024 წლის ბოლოს სავაჭრო ვალდებულებების საბოლოო ნაშთების სისწორეში, რომელიც შეადგენს 1,575,632, 3,921,161 და 3,285,941 ლარს. ჩვენ ვერც ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სავაჭრო ვალდებულებებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტის პროცესში დადგინდა, რომ „აიარდ ენჯინერინგ“-მა არ მოახდინა უცხოურ ვალუტაში არსებული არსებული ფინანსურ აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ეროვნული ბანკის შესაბამისი კურსით 2023-2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული წარმოადგენს ფინანსური

ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის IAS 21 – „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“-ის მოთხოვნებიდან უგულველყოფას. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა თანდართული ფინანსური ანგარიშგების ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებთან, აგრეთვე მოგება-ზარალში ასახულ ხარჯებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობით ვართ „იარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-გან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

## სხვა გარემოება

2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის შესადარისი რიცხვები არ არის აუდირებული.

## სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონის“) მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწამო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვედნილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან „იარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს პროცედურების, პოლიტიკების და

ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, გარდა პირობითი მოსაზრების აბზაცში აღწერილი საკითხებისა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

## **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტისა და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური შეცდომების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიეთ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

## **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს

იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნი, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი

საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

გოჩა ჭოლოკავა

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-374286

შპს „ფი ქეი ეფ ჯორჯიას“ სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-798362)

ი. ნიკოლაძის N3,

თბილისი 0108, საქართველო

17 ოქტომბერი, 2025

PKF Georgia LLC



საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

გოჩა ჭოლოკავა

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-374286

შპს „ფი ქეი ეფ ჯორჯიას“ სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-798362)

ი. ნიკოლაძის N3,

თბილისი 0108, საქართველო

17 ოქტომბერი, 2025



„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

|                                       | შენიშვნები | 12/31/2024        | 12/31/2023        | 1/1/2023         |
|---------------------------------------|------------|-------------------|-------------------|------------------|
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>          |            |                   |                   |                  |
| ძირითადი საშუალებები                  | 5          | 188,094           | 331,040           | 203,412          |
| აქტივი გამოყენების უფლებით            | 6          | 776,514           | 990,332           | 952,628          |
| არამატერიალური აქტივები               |            | 2,104             | 937               | 1,162            |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>      |            | <b>966,712</b>    | <b>1,322,309</b>  | <b>1,157,202</b> |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>          |            |                   |                   |                  |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები            | 8          | 7,633,913         | 6,932,773         | 4,344,208        |
| წინასწარ გადახდილი ხარჯები            | 11         | 271,387           | 262,531           | 249,918          |
| მარაგები                              | 7          | 34,264            | 26,677            | 17,307           |
| საგადასახადო აქტივი                   | 10         | 955,501           | 240,752           | 497,644          |
| ფული და ფულის ეკვივალენტები           | 9          | 1,297,135         | 1,498,569         | 68,932           |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>      |            | <b>10,192,200</b> | <b>8,961,302</b>  | <b>5,178,009</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                   |            | <b>11,158,912</b> | <b>10,283,611</b> | <b>6,335,211</b> |
| <b>კაპიტალი</b>                       |            |                   |                   |                  |
| დაგროვილი მოგება                      |            | 5,129,267         | 5,420,205         | 3,334,609        |
| <b>სულ კაპიტალი</b>                   |            | <b>5,129,267</b>  | <b>5,420,205</b>  | <b>3,334,609</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                  |            |                   |                   |                  |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>     |            |                   |                   |                  |
| საიჯარო ვალდებულება                   | 12         | 531,740           | 672,682           | 655,158          |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> |            | <b>531,740</b>    | <b>672,682</b>    | <b>655,158</b>   |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>     |            |                   |                   |                  |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები         | 13         | 3,921,161         | 3,285,941         | 1,575,632        |
| მიღებული სესხი                        |            | -                 | -                 | 126,120          |
| საიჯარო ვალდებულება                   | 12         | 187,739           | 198,294           | 171,432          |
| საგადასახადო ვალდებულება              | 10         | 1,389,005         | 706,489           | 472,260          |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b> |            | <b>5,497,905</b>  | <b>4,190,724</b>  | <b>2,345,444</b> |
| <b>სულ ვალდებულებები</b>              |            | <b>6,029,645</b>  | <b>4,863,406</b>  | <b>3,000,602</b> |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>  |            | <b>11,158,912</b> | <b>10,283,611</b> | <b>6,335,211</b> |

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 17 ოქტომბერს:

პაოლო ორსინი

ხელმძღვანელი

შენიშვნები გვერდებზე 11-44 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

|                                       | შენიშვნები | 12/31/2024        | 12/31/2023        | 1/1/2023         |
|---------------------------------------|------------|-------------------|-------------------|------------------|
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>          |            |                   |                   |                  |
| ძირითადი საშუალებები                  | 5          | 188,094           | 331,040           | 203,412          |
| აქტივი გამოყენების უფლებით            | 6          | 776,514           | 990,332           | 952,628          |
| არამატერიალური აქტივები               |            | 2,104             | 937               | 1,162            |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>      |            | <b>966,712</b>    | <b>1,322,309</b>  | <b>1,157,202</b> |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>          |            |                   |                   |                  |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები            | 8          | 7,633,913         | 6,932,773         | 4,344,208        |
| წინასწარ გადახდილი ხარჯები            | 11         | 271,387           | 262,531           | 249,918          |
| მარაგები                              | 7          | 34,264            | 26,677            | 17,307           |
| საგადასახადო აქტივი                   | 10         | 955,501           | 240,752           | 497,644          |
| ფული და ფულის ეკვივალენტები           | 9          | 1,297,135         | 1,498,569         | 68,932           |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>      |            | <b>10,192,200</b> | <b>8,961,302</b>  | <b>5,178,009</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                   |            | <b>11,158,912</b> | <b>10,283,611</b> | <b>6,335,211</b> |
| <b>კაპიტალი</b>                       |            |                   |                   |                  |
| დაგროვილი მოგება                      |            | 5,129,267         | 5,420,205         | 3,334,609        |
| <b>სულ კაპიტალი</b>                   |            | <b>5,129,267</b>  | <b>5,420,205</b>  | <b>3,334,609</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                  |            |                   |                   |                  |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>     |            |                   |                   |                  |
| საიჯარო ვალდებულება                   | 12         | 531,740           | 672,682           | 655,158          |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> |            | <b>531,740</b>    | <b>672,682</b>    | <b>655,158</b>   |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>     |            |                   |                   |                  |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები         | 13         | 3,921,161         | 3,285,941         | 1,575,632        |
| მიღებული სესხი                        |            | -                 | -                 | 126,120          |
| საიჯარო ვალდებულება                   | 12         | 187,739           | 198,294           | 171,432          |
| საგადასახადო ვალდებულება              | 10         | 1,389,005         | 706,489           | 472,260          |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b> |            | <b>5,497,905</b>  | <b>4,190,724</b>  | <b>2,345,444</b> |
| <b>სულ ვალდებულებები</b>              |            | <b>6,029,645</b>  | <b>4,863,406</b>  | <b>3,000,602</b> |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>  |            | <b>11,158,912</b> | <b>10,283,611</b> | <b>6,335,211</b> |

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 17 ოქტომბერს:

პაოლო ორსინი

ხელმძღვანელი



შენიშვნები გვერდებზე 11-44 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

|                                        | შენიშვნები | 2024              | 2023              |
|----------------------------------------|------------|-------------------|-------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან               | 14         | 14,099,657        | 17,933,878        |
| <b>საერთო მოგება</b>                   |            | <b>14,099,657</b> | <b>17,933,878</b> |
| შრომის ანაზღაურების ხარჯი              |            | (4,792,769)       | (5,328,308)       |
| დაზღვევის ხარჯები                      |            | (132,215)         | (97,134)          |
| საკონსულტაციო და იურიდიული ხარჯები     |            | (2,656,227)       | (4,474,971)       |
| ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი            | 5,6        | (399,412)         | (328,765)         |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                | 15         | (431,988)         | (514,482)         |
| <b>შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან</b> |            | <b>5,687,046</b>  | <b>7,190,218</b>  |
| ფინანსური ხარჯი                        |            | (63,508)          | (59,014)          |
| არასაოპერაციო შემოსავლები              |            | 104,888           | -                 |
| არასაოპერაციო ხარჯები                  | 17         | (703,297)         | (1,203,301)       |
| მოგება/ზარალი საკუთროსო სხვაობიდან     | 16         | (348,258)         | 502,247           |
| <b>მოგება დანეგვრამდე</b>              |            | <b>4,676,871</b>  | <b>6,430,150</b>  |
| მოგების გადასახადის ხარჯი              |            | (944,387)         | (769,493)         |
| <b>წლის მოგება</b>                     |            | <b>3,732,484</b>  | <b>5,660,657</b>  |
| <b>სხვა სრული შემოსავალი</b>           |            |                   |                   |
| წლის სხვა სრული შემოსავალი             |            | -                 | -                 |
| <b>სულ მთლიანი სრული შემოსავალი</b>    |            | <b>3,732,484</b>  | <b>5,660,657</b>  |

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 17 ოქტომბერს:

პაოლო ორსინი

ხელმძღვანელი

შენიშვნები გვერდებზე 11-44 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

|                                        | შენიშვნები | 2024              | 2023              |
|----------------------------------------|------------|-------------------|-------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან               | 14         | 14,099,657        | 17,933,878        |
| <b>საერთო მოგება</b>                   |            | <b>14,099,657</b> | <b>17,933,878</b> |
| შრომის ანაზღაურების ხარჯი              |            | (4,792,769)       | (5,328,308)       |
| დაზღვევის ხარჯები                      |            | (132,215)         | (97,134)          |
| საკონსულტაციო და იურიდიული ხარჯები     |            | (2,656,227)       | (4,474,971)       |
| ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი            | 5,6        | (399,412)         | (328,765)         |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                | 15         | (431,988)         | (514,482)         |
| <b>შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან</b> |            | <b>5,687,046</b>  | <b>7,190,218</b>  |
| ფინანსური ხარჯი                        |            | (63,508)          | (59,014)          |
| არასაოპერაციო შემოსავლები              |            | 104,888           | -                 |
| არასაოპერაციო ხარჯები                  | 17         | (703,297)         | (1,203,301)       |
| მოგება/ზარალი საკუთროსო სხვაობიდან     | 16         | (348,258)         | 502,247           |
| <b>მოგება დანეგვრამდე</b>              |            | <b>4,676,871</b>  | <b>6,430,150</b>  |
| მოგების გადასახადის ხარჯი              |            | (944,387)         | (769,493)         |
| <b>წლის მოგება</b>                     |            | <b>3,732,484</b>  | <b>5,660,657</b>  |
| <b>სხვა სრული შემოსავალი</b>           |            |                   |                   |
| წლის სხვა სრული შემოსავალი             |            | -                 | -                 |
| <b>სულ მთლიანი სრული შემოსავალი</b>    |            | <b>3,732,484</b>  | <b>5,660,657</b>  |

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 17 ოქტომბერს:

პაოლო ორსინი

ხელმძღვანელი



შენიშვნები გვერდებზე 11-44 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

„აიარდ ენჯინერინგი-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება  
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

|                                           | დაგროვილი<br>მოგება | სულ<br>კაპიტალი |
|-------------------------------------------|---------------------|-----------------|
| ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით    | 3,334,608           | 3,334,608       |
| პერიოდის შედეგი                           | 5,660,657           | 5,660,657       |
| წლის სრული შემოსავალი                     | 5,660,657           | 5,660,657       |
| კორექტირება                               | (3,575,061)         | (3,575,061)     |
| ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 5,420,205           | 5,420,205       |
| პერიოდის შედეგი                           | 3,732,484           | 3,732,484       |
| წლის სრული შემოსავალი                     | 3,732,484           | 3,732,484       |
| კორექტირება                               | (4,023,422)         | (4,023,422)     |
| ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 5,129,267           | 5,129,267       |

შენიშვნები გვერდებზე 11-44 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება  
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

|                                                              | 2024                | 2023                |
|--------------------------------------------------------------|---------------------|---------------------|
| მიღებული ფულადი სახსრები მომხმარებლებისაგან                  | 10,693,093          | 10,626,500          |
| სხვა მიღებული ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან       | 598,593             | 2,936,710           |
| <b>სულ შემოსული თანხა</b>                                    | <b>11,291,686</b>   | <b>13,563,210</b>   |
| გაცემული ფულადი სახსრები თანამშრომლებზე                      | (3,548,456)         | (4,436,709)         |
| გაცემული ფულადი სახსრები მომწოდებლებზე                       | (3,740,368)         | (3,603,601)         |
| გაცემული ფულადი სახსრები საგადასახადო დავალიანებებზე         | (4,215,716)         | (4,054,205)         |
| სხვა გაცემული ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან       | (4,896)             | (9,455)             |
| <b>სულ გაცემული თანხა</b>                                    | <b>(11,509,436)</b> | <b>(12,103,970)</b> |
| <b>გამოყენებული ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b> | <b>(217,750)</b>    | <b>1,459,240</b>    |
| ძირითადი საშუალებების შესყიდვა                               | (5,731)             | (14,521)            |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>     | <b>(5,731)</b>      | <b>(14,521)</b>     |
| ვალუტის კურსის გავლენა წმინდა                                | 22,047              | (15,082)            |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები არასაოპერაციო საქმიანობიდან</b>    | <b>22,047</b>       | <b>(15,082)</b>     |
| <b>წმინდა ზრდა/კლება ფულსა და ფულის ექვივალენტებში</b>       | <b>(201,434)</b>    | <b>1,429,637</b>    |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში</b>       | <b>1,498,569</b>    | <b>68,932</b>       |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>            | <b>1,297,135</b>    | <b>1,498,569</b>    |

შენიშვნები გვერდებზე 11-44 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

## **1 ზოგადი ინფორმაცია**

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ დარეგისტრირდა გადასახადის გადამხდელად 2014 წლის 18 სექტემბერს.

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ შეიქმნა უცხოური საწარმოს ფილიალის სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად. საიდენტიფიკაციო ნომერია: 404478677.

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მიხეილ ასათიანის ქუჩა, N 5.

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს ჰყავს დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება აიარდ ენჯინერინგ, 06293511009 /იტალია.

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს დირექტორი არის პაოლო ორსინი, YA8647596, YB4635223 /იტალია, ერთპიროვნული, რომელიც შესაბამისად არის უმაღლესი მაკონტროლებელი პირი.

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს საინჟინრო საკონსულტაციო მომსახურება.

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ დასაქმებულია 48 თანამშრომელი და 16 ექსპერტი.

## **საოპერაციო გარემო**

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

## **2 მომზადების საფუძველი**

### **2.1 ანგარიშგების შესაბამისობა**

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასსს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

### **შეფასების საფუძველი**

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა თვითღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც აღრიცხულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით.

### **ფუნქციონირებადი საწარმო**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს ფუნქციონირების შეწყვეტა. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდამ საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

### **2.2 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა**

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა არის ქართული ლარი (შემდგომში „ქართული ლარი“), როგორც ვალუტა, რომელიც ყველაზე კარგად ასახავს „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული), რადგან მენეჯმენტი თვლის, რომ ეს ვალუტა უფრო სასარგებლოა თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარში, დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

### **2.3 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება**

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე საანგარიშგებო პერიოდისთვის, აგრეთვე შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც ხელმძღვანელობის მიერ

**„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
ქართულ ლარში**

---

გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე. ეს შეფასებები ემყარება მენეჯმენტის საუკეთესო ცოდნას მიმდინარე მოვლენებისა და ქმედებების შესახებ, ფაქტობრივი შედეგები საბოლოოდ შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან და თავდაპირველი შეფასებები და ვარაუდები შეიცვლება საჭიროებისამებრ იმ წელს, როდესაც გარემოებები შეიცვლება.

## **2.4 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება**

### **ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება**

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-მ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა (IASB) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს (IFRIC) მიერ გაცემული ყველა ახალი და გადახედილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც შესაბამისობაშია მის ფუნქციონირებასთან და ძალაშია ყოველწლიური საანგარიშო პერიოდისთვის დაწყებული 2024 წლის 1 იანვრიდან. „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს არ მიუღია სხვა არცერთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია ან შესწორება, რომლებიც გამოცემულია მაგრამ არ არის ეფექტური რეპორტირებ პერიოდისთვის.

ქვემოთ მოცემულ ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ გავლენა არ ჰქონია „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ცვლილებები ფასს 16 იჯარაში – საიჯარო ვალდებულებები უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში - შესწორებებს არანაირი გავლენა არ ჰქონია „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს ფინანსურ ანგარიშგებაზე;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - ვალდებულებების მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაცია;
- ცვლილებები ბასს 7-ში ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ფასს 7-ში - ფინანსური ინსტრუმენტები - განმარტებითი შენიშვნები: მომწოდებლებთან არსებული ფინანსური შეთანხმებები.

**სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს მიერ**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გამოცემული იყო რიგი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა და არც „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს გამოყენებია ვადაზე ადრე.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი სტანდარტის და ცვლილების დანერგვა „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს სააღრიცხვო პოლიტიკაში მოხდება იმ პირველივე პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ახალი სტანდარტისა თუ ცვლილების ძალაში შესვლის გამოცხადებული თარიღიდან.

**„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
ქართულ ლარში**

---

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ქვემოთ მოცემული სტანდარტები და განახლებები არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ცვლილებები ბასს 21 - უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგებში - ურთიერთგაცვლის შეზღუდული არსებობა;
- ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები;
- ფასს 19 - შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები.

### **3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა**

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

#### **3.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

##### **შეფასებისა და წარდგენის ვალუტა**

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა:

ოპერაციებში „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი:

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვალდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული რეალური ღირებულებით გადაიანგარიშდება რეალური ღირებულების დადგენის დღისათვის არსებული სავალუტო კურსით. კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი) ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია, როგორც „წმინდა (ზარალი)/მოგება საკურსო სხვაობიდან“.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

**„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
ქართულ ლარში**

|               | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|---------------|-------------------|-------------------|
| 1 დოლარი/ლარი | 2.8068            | 2.6894            |
| 1 ევრო/ლარი   | 2.9306            | 2.9753            |

### 3.2 ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ ამონაგებს აღიარებს დროის კონკრეტულ მომენტში ან დროთა განმავლობაში სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე „კონტროლი“ მომხმარებელს გადაეცემა.

#### საოპერაციო შემოსავალი

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს საოპერაციო შემოსავალს წარმოადგენს საინჟინრო საკონსულტაციო მომსახურებიდან შემოსავალი, მათ შორის ტენდერების გზით მოპოვებული კონტრაქტებიდან მიღებულ შემოსავალს.

#### ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

### 3.3 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე), რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მიმდინარე საგადასახადო მოდელის მიხედვით, რომელიც საქართველოში მოქმედებს 2017 წლის 1

## „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები ქართულ ლარში

---

იანვრიდან („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“), მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, და 15%-იანი განაკვეთით განაწილებულ მოგებაზე. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (მოგების, როგორც დივიდენდის განაწილება აქციონერებზე) და ინდივიდუალური ტრანზაქციები, რომლებიც შეიძლება მოგების ირიბად განაწილებად ჩაითვალოს (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები, ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც არ არის განხორციელებული გაშლილი ხელის პრინციპით, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

დივიდენდის გაცემიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როცა დივიდენდი გამოცხადდა, მიუხედავად მათი რეალური გადახდის თარიღის, ან პერიოდისა, რომელშიც მოხდა ამ დივიდენდის გატანა. განაკვეთი წარმოადგენს განაწილებული მოგების 15/85 ნაწილს.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან და არ არის ასახული ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

### 3.4 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

### 3.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით გარდა მიწის ნაკვეთების ჯგუფისა, რომლებსაც ცვეთა არ ერიცხება, სხვა დანარჩენ ძირითადი საშუალებების ჯგუფებს ცვეთა ერიცხება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

**„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
ქართულ ლარში**

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში „სხვა ხარჯების“ მუხლში.

ქვემოთ ცხრილი გვიჩვენებს ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებს:

|                     |           |
|---------------------|-----------|
| მანქანა-დანაგდარები | 8-10 წელი |
| ოფისის აღჭურვილობა  | 5-7 წელი  |
| ავეჯი და ინვენტარი  | 5-7 წელი  |

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

### **3.6 არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად. „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

### **3.7 გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება**

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ცვეთა არ ერიცხება და ხდება მათი ყოველწლიური ტესტირება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ცვეთას ექვემდებარებიან, გაუფასურებაზე ტესტს გადიან მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიაჩნიათ, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ

**„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
ქართულ ლარში**

---

საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

როცა გაუფასურების ზარალის ანულირება ხდება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არარსებობის შემთხვევაში. გაუფასურების ანულირება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის ანულირება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

### **3.8 იჯარა**

#### **იჯარის იდენტიფიკაცია**

ხელშეკრულების დაწყებისას „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება;
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

#### **საწყისი აღიარება**

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდები დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის

**„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
ქართულ ლარში**

---

შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე.

ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

**შემდგომი შეფასება**

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივის ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების

**„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
ქართულ ლარში**

---

გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. საიჯარო აქტივები ამორტიზდება 2 - 10 წლამდე პერიოდზე.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.

- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.

- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან;

საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

## **„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები ქართულ ლარში**

---

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

### **იჯარის ვადის განსაზღვრა**

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

### **ზღვრული სასესხო განაკვეთი**

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების

განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-მ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

### **3.9 მარაგები**

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება.

ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად. გაყიდვის შემთხვევაში მარაგები აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. ნეტო (წმინდა) სარეალიზაციო ღირებულება არის სამეურნეო საქმიანობის ჩვეულ ფარგლებში შეფასებითი გასაყიდი ღირებულება, დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების გამოკლებით. მარაგები ჩამოიწერება ფიფო მეთოდით.

### **3.10 ანარიცხები**

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის

**„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
ქართულ ლარში**

---

ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

### **3.11 ფინანსური ინსტრუმენტები**

#### ***ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა***

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

#### ***ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება***

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაფერისია).

ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირებისთვის განსაზღვრული და გამოყენებული აქტივებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულებით
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI ან (FVTPL) .

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსური

**„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
ქართულ ლარში**

---

მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს ფინანსური აქტივები დაყოფილი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 18.

**ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება**

**ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება**

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების უმეტესობა, ისევე როგორც, ბასს 39-ის მიხედვით, ფლობისთვის განსაზღვრულად კლასიფიცირებული ობლიგაციები, ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება**

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზირებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რემიტირებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს მიერ საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

**„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
ქართულ ლარში**

---

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

***სავაჭრო და სხვა მოთხოვნები***

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშების დროს.

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს და დაჯგუფებულები არიან ვადაგადაცილების მიხედვით.

***ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება***

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და ფინანსური იჯარის ვალდებულებებს. შეჯამება „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს ფინანსური ვალდებულებების შესახებ, კატეგორიების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 18- ში.

***სავაჭრო და სხვა ვალდებულებები***

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-მ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

**„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
ქართულ ლარში**

---

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში - ამორტიზებული ღირებულებით.

**3.12 ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა**

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთგადაფარვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

**3.13 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები**

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

**4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები**

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

**4.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები**

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

**შემოსავლის აღიარება**

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ აღიარებს მომსახურების გაწევიდან ამონაგებს, რომელიც შეფასდება ხელშეკრულების ეტაპობრივი გეგმის და ფაქტობრივად დასრულებული სამუშაოების პროგრესის მიხედვით ანგარიშგების თარიღამდე, როგორც მთლიანი გასაწევი მომსახურების პროცენტს, ყოველი ხელშეკრულებისთვის. როდესაც ამონაგები გამომუშავებულია, მაგრამ აღიარებულია სახელშეკრულებო აქტივი, რომელიც არ არის ანგარიშში წარდგენილი, როდესაც ფულადი ანაზღაურება აღემატება გამომუშავებულ ამონაგებს, უნდა აღიარდეს სახელშეკრულებო ვალდებულება. როდესაც ორგანიზაცია თვლის, რომ ამონაგების აღიარების კრიტერიუმები გარიგებისთვის არ არის დაკმაყოფილებული, ამონაგების აღიარება შეყოვნებულია იმ დრომდე, სანამ ეს კრიტერიუმები არ დაკმაყოფილდება.

პროგრესი განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: ა) მთლიანი სახელშეკრულებო ამონაგები შესაძლებელია იყოს სანდოდ შეფასებული; ბ) სავარაუდოა, რომ

## **„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები ქართულ ლარში**

---

ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი შემოედინება საწარმოში; გ) ორივე, ხელშეკრულების დასასრულებლად სახელშეკრულებო ხარჯები და საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელშეკრულების პროგრესი შესაძლებელია სანდოდ შეფასდეს; და დ) დასრულების პროცენტის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

### **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები**

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

### **მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება**

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება ფიფო მეთოდით.

### **ფინანსური აქტივების გაუფასურება**

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ ხელმძღვანელობს ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა სავაჭრო მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. კოლექტიური მეთოდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ აჯგუფებს ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განისაზღვრება „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-მ გამოიყენა გამონაკლისი ფასს 9-ის 85.5.50 და 85.5.51 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს მომხმარებლებზე.

### **გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაუფასურება**

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას.

**„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
ქართულ ლარში**

---

ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

**იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი და საიჯარო გადასახდელები**

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას. „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით. საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური საიჯარო გადახდების შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმისგან, რაც წარდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

**სასამართლო დავები**

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

### **საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ექვექვე დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

### **დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები**

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ განიხილავს, არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

### **საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
ქართულ ლარში

5 ძირითადი საშუალებები

|                             | მანქანა-დანადგარები | ოფისის აღჭურვილობა | ავეჯი და სხვა ინვენტარი | სულ       |
|-----------------------------|---------------------|--------------------|-------------------------|-----------|
| <i>თვითღირებულება</i>       |                     |                    |                         |           |
| ბალანსი 01.01.2023          | 229,461             | 43,070             | 18,030                  | 290,561   |
| შემოსვლა                    | 186,302             | 5,481              | 15,253                  | 207,036   |
| ბალანსი 31.12.2023          | 415,763             | 48,551             | 33,283                  | 497,597   |
| შემოსვლა                    | -                   | 4,829              | 903                     | 5,732     |
| გასვლა                      | (152,974)           | (5,947)            | (12,250)                | (171,171) |
| ბალანსი 31.12.2024          | 262,789             | 47,433             | 21,936                  | 332,158   |
| <i>დაგროვილი ცვეთა</i>      |                     |                    |                         |           |
| ბალანსი 01.01.2023          | (38,243)            | (32,413)           | (16,493)                | (87,149)  |
| პერიოდის ცვეთა              | (70,732)            | (4,576)            | (4,100)                 | (79,408)  |
| ბალანსი 31.12.2023          | (108,975)           | (36,989)           | (20,593)                | (166,557) |
| პერიოდის ცვეთა              | (70,732)            | (5,908)            | (2,714)                 | (79,354)  |
| ჩამოწერა                    | 86,685              | 2,713              | 12,449                  | 101,847   |
| ბალანსი 31.12.2024          | (93,022)            | (40,184)           | (10,858)                | (144,064) |
| <i>საბალანსო ღირებულება</i> |                     |                    |                         |           |
| ბალანსი 31.12.2023          | 306,788             | 11,562             | 12,690                  | 331,040   |
| ბალანსი 31.12.2024          | 169,767             | 7,249              | 11,078                  | 188,094   |

**„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
ქართულ ლარში**

“აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში”-ს ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებით 188,094 (2023: 331,040 ლარი) ლარის ოდენობით არ არის გამოყენებულია საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. “აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში”-ს ვალდებულებები არ არის უზრუნველყოფილი ძირითადი საშუალებებით.

ცვეთის ხარჯი ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და განაწილებულია შემდეგნაირად:

|                              | 2024                       | 2023                       |
|------------------------------|----------------------------|----------------------------|
|                              | ადმინისტრაციული<br>ხარჯები | ადმინისტრაციული<br>ხარჯები |
| ძირითადი საშუალებები         | 79,354                     | 79,408                     |
| აქტივების გამოყენების უფლება | 319,833                    | 249,132                    |
| არამატერიალური აქტივები      | 224.82                     | 224.82                     |
|                              | <b>399,412</b>             | <b>328,765</b>             |

**6 აქტივები გამოყენების უფლებით**

|                               | აქტივი გამოყენების<br>უფლებით | სულ              |
|-------------------------------|-------------------------------|------------------|
| <i>თვითღირებულება</i>         |                               |                  |
| <b>ბალანსი 01.01.2023</b>     | <b>1,177,039</b>              | <b>1,177,039</b> |
| შემოსვლა                      | 286,837                       | 286,837          |
| გასვლა                        | -                             | -                |
| <b>ბალანსი 31.12.2023</b>     | <b>1,463,875</b>              | <b>1,463,875</b> |
| შემოსვლა                      | 106,014                       | 106,014          |
| გასვლა                        | -                             | -                |
| <b>ბალანსი 31.12.2024</b>     | <b>1,569,889</b>              | <b>1,569,889</b> |
| <i>დაგროვილი ცვეთა</i>        |                               |                  |
| <b>ბალანსი 01.01.2023</b>     | <b>(224,411)</b>              | <b>(224,411)</b> |
| პერიოდის ცვეთა                | (249,132)                     | (249,132)        |
| გასვლა                        | -                             | -                |
| <b>ბალანსი 31.12.2023</b>     | <b>(473,543)</b>              | <b>(473,543)</b> |
| პერიოდის ცვეთა                | (319,833)                     | (319,833)        |
| გასვლა                        | -                             | -                |
| <b>ბალანსი 31.12.2024</b>     | <b>(793,376)</b>              | <b>(793,376)</b> |
| <i>საბალანსო ღირებულება</i>   |                               |                  |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>945,820</b>                | <b>990,332</b>   |
| <b>2024 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>776,514</b>                | <b>776,514</b>   |

ცვეთის ხარჯები ასახულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
ქართულ ლარში

7 მარაგები

|                     | 12/31/2024    | 12/31/2023    | 1/1/2023      |
|---------------------|---------------|---------------|---------------|
| მარაგები            | 34,264        | 26,677        | 17,307        |
| <b>სულ მარაგები</b> | <b>34,264</b> | <b>26,677</b> | <b>17,307</b> |

მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს საწვავი, რომელიც რაოდენობრივად 2024 წლის ბოლოს არის შემდეგი:

| სახეობა     | ერთეული (ლიტრი) |
|-------------|-----------------|
| Eko Premium | 230             |
| Eko Regular | 776             |
| Eko Diesel  | 813             |
| Euro Diesel | 172             |
| <b>სულ</b>  | <b>1,990</b>    |

ვალდებულებები არ არის მარაგებით უზრუნველყოფილი.

8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                          | 12/31/2024       | 12/31/2023       | 1/1/2023         |
|------------------------------------------|------------------|------------------|------------------|
| <i>ფინანსური აქტივები</i>                |                  |                  |                  |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 6,522,998        | 6,060,053        | 3,419,769        |
| მოთხოვნები პერსონალის მიმართ             | 14,824           | 14,923           | -                |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები             | 40,601           | 36,136           | 36,510           |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>            | <b>6,578,423</b> | <b>6,111,112</b> | <b>3,456,279</b> |
| <i>არაფინანსური აქტივები</i>             |                  |                  |                  |
| გადახდილი ავანსები მომწოდებელზე          | 1,055,490        | 821,661          | 887,929          |
| <b>სულ არაფინანსური აქტივები</b>         | <b>1,055,490</b> | <b>821,661</b>   | <b>887,929</b>   |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b>    | <b>7,633,913</b> | <b>6,932,773</b> | <b>4,344,208</b> |

მოთხოვნის ყველა თანხა არის მოკლევადიანი.

სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებასთან.

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადახადო აქტივი სრულად დაბრუნებადი.

სავაჭრო მოთხოვნები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 19.1-ში.

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
ქართულ ლარში

9 ფული და ფული ეკვივალენტები

|                                        | 12/31/2024       | 12/31/2023       | 1/1/2023      |
|----------------------------------------|------------------|------------------|---------------|
| ფული ბანკში                            | 1,297,135        | 1,498,569        | 68,932        |
| <b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b> | <b>1,297,135</b> | <b>1,498,569</b> | <b>68,932</b> |

ფული და ფულის ეკვივალენტები განთავსებულია ქართულ რეპუტაციულ ბანკებში და „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ არ მოელის მათ გაუფასურებას.

ფული და ფული ეკვივალენტები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 19.1-ში.

10 საგადასახადო აქტივი/ვალდებულება

|                                            | 12/31/2024       | 12/31/2023     | 1/1/2023       |
|--------------------------------------------|------------------|----------------|----------------|
| გადასახდელი მოგების გადასახადი             | 321,308          | 643,080        | 192,806        |
| გადასახდელი დღგ                            | 1,064,789        | 81,431         | 105,332        |
| გადახდილი დღგ                              | 621,078          | 97,106         | 383,316        |
| ქონების გადასახადი                         | 5,272            | 2,676          | 1,088          |
| საშემოსავლო გადასახადი რეზიდენტებისთვის    | 312,958          | 73,572         | 94,536         |
| სხვა საგადასახადო ვალდებულებები            | 19,100           | 49,377         | 192,826        |
| <b>სულ საგადასახადო აქტივი/ვალდებულება</b> | <b>2,344,506</b> | <b>947,241</b> | <b>969,904</b> |

11 წინასწარ გადახდილი ხარჯები

|                                     | 12/31/2024     | 12/31/2023     | 1/1/2023       |
|-------------------------------------|----------------|----------------|----------------|
| წინასწარ გაწეული იჯარის ხარჯი       | 36,080         | 78,551         | 87,130         |
| წინასწარ გაწეული სადაზღვეო ხარჯი    | 235,307        | 183,980        | 162,788        |
| <b>სულ წინასწარ გაწეული ხარჯები</b> | <b>271,387</b> | <b>262,531</b> | <b>249,918</b> |

12 იჯარა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| საიჯარო ვალდებულება              | 31/12/2024     | 31/12/2023     |
|----------------------------------|----------------|----------------|
| მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება | 187,739        | 198,294        |
| გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება | 531,740        | 672,682        |
| <b>სულ საიჯარო ვალდებულებები</b> | <b>719,479</b> | <b>870,976</b> |

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს იჯარით აღებული აქვს ფართები ოფისისათვის და ექსპერტებისთვის. ყველა იჯარა, გარდა მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარისა, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. ცვალებადი საიჯარო გადასახადები, რომლებიც არ არის

**„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
ქართულ ლარში**

დამოკიდებული ინდექსზე ან პროცენტზე (როგორცაა საიჯარო გადასახდელები, დამოკიდებული გაყიდვების პროცენტულ მაჩვენებელზე), არ მონაწილეობს სალიზინგო ვალდებულებების და შესაბამისი აქტივების საწყის აღიარებაში. აქტივების გამოყენების უფლება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარგენილია განცალკევებულად (შენიშვნა 6).

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს იჯარებით აღებული აქვს 7 ფართი ლიზინგით და 8 საცხოვრებელი ობიექტი. დარჩენილი ვადა არის 25-50 თვე. ყველა იჯარა არის გაგრძელების უფლებით.

საიჯარო ვალდებულებების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                        | მიმდინარე      | გრძელვადიანი   | სულ            |
|------------------------|----------------|----------------|----------------|
| <b>1/1/2023</b>        | <b>171,432</b> | <b>655,158</b> | <b>826,590</b> |
| იჯარის დამატება        | 28,738         | 215,638        | 244,377        |
| პროცენტის დარიცხვა     | 59,014         | -              | 59,014         |
| ვალდებულების გადახდა   | (202,199)      | -              | (202,199)      |
| პროცენტის დაფარვა      | (59,014)       | -              | (59,014)       |
| სავალუტო კურსის ეფექტი | 2,208          | -              | 2,208          |
| გადატანა               | 180,106        | (180,106)      | -              |
| სხვა კორექტირება       | 18,009         | (18,009)       | -              |
| <b>12/31/2023</b>      | <b>198,294</b> | <b>672,682</b> | <b>870,976</b> |
| იჯარის დამატება        | 53,466         | 68,528         | 121,994        |
| პროცენტის დარიცხვა     | 61,102         | 2,406          | 63,508         |
| ვალდებულების გადახდა   | (262,418)      | (23,094)       | (285,512)      |
| პროცენტის დაფარვა      | (61,102)       | (2,406)        | (63,508)       |
| სავალუტო კურსის ეფექტი | 28,000         | -              | 28,000         |
| გადატანა               | 126,223        | (142,202)      | (15,979)       |
| სხვა კორექტირება       | 44,174         | (44,174)       | -              |
| <b>12/31/2024</b>      | <b>187,739</b> | <b>531,740</b> | <b>719,479</b> |

*საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის აღიარებული ვალდებულებად*

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-მ გადაწყვიტა არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი იჯარისთვის (12 თვიანი ან ნაკლები საიჯარო ვადის მქონე იჯარებისთვის) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივების იჯარებისთვის. ამგვარ საიჯარო გადახდები ხარჯებად აღიარდება წრფივი მეთოდით. ამასთანავე, ზოგიერთი ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ აღიარდება როგორც საიჯარო ვალდებულება, გაწვევისთანავე აღიარდება ხარჯად.

იჯარები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 19.1-ში.

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
ქართულ ლარში

**13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

|                                          | 12/31/2024       | 12/31/2023       | 1/1/2023         |
|------------------------------------------|------------------|------------------|------------------|
| <i>ფინანსური ვალდებულებები</i>           |                  |                  |                  |
| მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | 2,996,540        | 2,706,428        | 1,091,247        |
| გადასახდელი ხელფასები                    | -                | 17,015           | -                |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>       | <b>2,996,540</b> | <b>2,723,443</b> | <b>1,091,247</b> |
| <i>არაფინანსური ვალდებულებები</i>        |                  |                  |                  |
| მიღებული ავანსები                        | 924,621          | 562,498          | 484,385          |
| <b>სულ არაფინანსური ვალდებულებები</b>    | <b>924,621</b>   | <b>562,498</b>   | <b>484,385</b>   |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b> | <b>3,921,161</b> | <b>3,285,941</b> | <b>1,575,632</b> |

ვალდებულებების უმეტესი ნაწილი არის ვალდებულება მომწოდებლების მიმართ.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ყველა თანხა არის მოკლევადიანი და როგორც წესი იფარება 1 თვემდე ვადაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხებათ.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების წმინდა საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

სავაჭრო ვალდებულებები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 19.1-ში.

**14 შემოსავალი რეალიზაციიდან**

|                                      | 2024              | 2023              |
|--------------------------------------|-------------------|-------------------|
| შემოსავალი ადგილობრივი რეალიზაციიდან | 14,099,657        | 17,933,878        |
| <b>სულ შემოსავალი რეალიზაციიდან</b>  | <b>14,099,657</b> | <b>17,933,878</b> |

შემოსავლის ძირითად წყაროს საინჟინრო საკონსულტაციო მომსახურება. სხვა სახის საოპერაციო შემოსავლები „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს პრაქტიკულად არ გააჩნია.

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს შემოსავალს აღიარებს დროთა განმავლობაში.

**15 სხვა საერთო ხარჯები**

|                      | 2024      | 2023      |
|----------------------|-----------|-----------|
| საიჯარო ქირა         | (329,658) | (381,249) |
| მომსახურების ხარჯები | (39,220)  | (49,931)  |
| კომუნიკაციის ხარჯები | (14,829)  | (16,693)  |
| საოფისე ხარჯები      | (11,796)  | (15,879)  |
| სამივლინებო ხარჯები  | (6,632)   | (8,011)   |

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
**2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**  
ქართულ ლარში

|                                    |                  |                  |
|------------------------------------|------------------|------------------|
| კომუნალურების ხარჯები              | (1,701)          | (1,717)          |
| სხვა საგადასახადო ხარჯი            | (2,596)          | (2,676)          |
| სხვა საერთო ხარჯები                | (25,556)         | (38,326)         |
| <b>სულ სხვა საოპერაციო ხარჯები</b> | <b>(431,988)</b> | <b>(514,482)</b> |

**16 მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან**

|                                                    | <b>2023</b>      | <b>2022</b>    |
|----------------------------------------------------|------------------|----------------|
| ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით      | 2,762,786        | 502,247        |
| ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით | (3,111,044)      | -              |
| <b>სულ მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან</b>        | <b>(348,258)</b> | <b>502,247</b> |

**17 არასაოპერაციო ხარჯები**

მიმდინარე პერიოდში არასაოპერაციო ხარჯებად აღიარებულია ის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია დედა კომპანიის მოთხოვნების შესრულებასთან და ჩამოიწერა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 703,397 ლარის ოდენობით, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 1,203,301 ლარის ოდენობით.

**18 ფინანსური ინტრუმენტები**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით კატეგორიების მიხედვით:

| <b>ფინანსური აქტივები</b>          | <b>12/31/2024</b> | <b>12/31/2023</b> |
|------------------------------------|-------------------|-------------------|
| <i>ამორტიზირებული ღირებულება</i>   |                   |                   |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები         | 6,578,423         | 6,111,112         |
| ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე  | 1,297,135         | 1,498,569         |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>      | <b>7,875,558</b>  | <b>7,609,681</b>  |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>     | <b>12/31/2024</b> | <b>12/31/2023</b> |
| <i>ამორტიზირებული ღირებულება</i>   |                   |                   |
| იჯარები                            | 719,479           | 870,976           |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები      | 2,996,540         | 2,723,443         |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>3,716,019</b>  | <b>3,594,419</b>  |

**„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
ქართულ ლარში**

**19 ფინანსური რისკების მართვა**

“აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში” ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

“აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში” არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისათვის და არც ოფციონებს გასცემს. “აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში”-ს ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები აღწერილია ქვემოთ.

**ფინანსური რისკის ფაქტორები**

**19.1 საბაზრო რისკი**

“აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში” არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

**უცხოური ვალუტის რისკი**

“აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში” დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი.

“აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში” ოპერაციების ძირითად ნაწილს ახორციელებს ქართულ ლარში. უცხოური ვალუტის რისკი ძირითადად უკავშირდება საზღვარგარეთ შესყიდვებს, რომლებიც ძირითადად აშშ დოლარშია ნომინირებული. “აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში”-ს ასევე აქვს იჯარის ვალდებულებები აშშ დოლარში.

ქვედა ცხრილში მოცემულია “აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში”-ს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც წარმოშობს უცხოური ვალუტის რისკს. თანხები წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლო დღისთვის დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით:

| <b>12/31/2024</b>                  | <b>დოლარი</b>       | <b>ევრო</b>         |
|------------------------------------|---------------------|---------------------|
| <i>ფინანსური აქტივები</i>          |                     |                     |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები         | 89,331              | 5,195,060           |
| ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე  | 420,523             | 2,928               |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>      | <b>509,853</b>      | <b>5,197,988</b>    |
| <i>ფინანსური ვალდებულებები</i>     |                     |                     |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები      | 971,596             | 5,061,318           |
| საიჯარო ვალდებულებები              | 631,282             | -                   |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>1,602,878.58</b> | <b>5,061,318.05</b> |
| <b>წმინდა პოზიცია</b>              | <b>(1,093,025)</b>  | <b>136,670</b>      |

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
 ქართულ ლარში

| 12/31/2023                         | დოლარი           | ევრო             |
|------------------------------------|------------------|------------------|
| <i>ფინანსური აქტივები</i>          |                  |                  |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები         | 2,401,255        | 4,697,541        |
| ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე  | 171,855          | 54               |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>      | <b>2,573,110</b> | <b>4,697,595</b> |
| <i>ფინანსური ვალდებულებები</i>     |                  |                  |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები      | 1,516,644        | 587,759          |
| საიჯარო ვალდებულებები              | 745,876          | -                |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>2,262,520</b> | <b>587,759</b>   |
| <b>წმინდა პოზიცია</b>              | <b>310,590</b>   | <b>4,109,836</b> |

## 19.2 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ მიიღებს ფინანსურ ზარალს. „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს საკრედიტო რისკი დანავშირებულია მის ფინანსურ აქტივებთან, მათ შორის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან.

საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი უმნიშვნელოა, რადგან ფული განთავსებულია მხოლოდ მსხვილ, საიმედო ბანკებში.

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს არ აქვს რაიმე უზრუნველყოფები სავაჭრო მოთხოვნებზე. „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ არ ფლობს გირაოს ან უზრუნველყოფებს, არც სხვა ფინანსურ აქტივებზე (მაგ. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები ბანკებში).

### *სავაჭრო მოთხოვნები*

მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისთვის, „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს, ვინაიდან ეს მუხლები არ შეიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისთვის, სავაჭრო მოთხოვნები შეფასდა საერთო მიდგომით, ვინაიდან მათ აქვთ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მათი დაჯგუფება ხდება ზანდაზმულობის მიხედვით.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება, როცა აღარ არსებობს მათი დაბრუნების გონივრული მოლოდინი.

## 19.3 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

**„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
ქართულ ლარში**

“აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში” ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა “აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში”-მ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება “აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში”-ს მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს და წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ფინანსური ვალდებულებები ლიკვიდურობის ანალიზი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| 12/31/2024                    | საპროცენტო<br>განაკვეთის<br>არმქონე | ფიქსირებული<br>საპროცენტო<br>განაკვეთის მქონე<br>ინსტრუმენტები    | ფინანსური<br>იჯარის<br>ვალდებულება | სულ              |
|-------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------------------------------------|------------------------------------|------------------|
| საშუალო შეწონილი ეფექტური (%) |                                     |                                                                   |                                    |                  |
| 6 თვეზე ნაკლები               | 2,996,540                           | -                                                                 | -                                  | 2,996,540        |
| 6 თვიდან 1 წლამდე             | -                                   | -                                                                 | 187,739                            | 187,739          |
| 1-5 წლამდე                    | -                                   | -                                                                 | 531,740                            | 531,740          |
| 5 წელზე მეტი                  | -                                   | -                                                                 | -                                  | -                |
|                               | <b>2,996,540</b>                    | <b>-</b>                                                          | <b>719,479</b>                     | <b>3,716,019</b> |
| 12/31/2023                    | საპროცენტო<br>განაკვეთის<br>არმქონე | ფიქსირებული<br>საპროცენტო<br>განაკვეთის<br>მქონე<br>ინსტრუმენტები | ფინანსური<br>იჯარის<br>ვალდებულება | სულ              |
| საშუალო შეწონილი ეფექტური (%) |                                     |                                                                   |                                    |                  |
| 6 თვეზე ნაკლები               | 2,723,443                           | -                                                                 | -                                  | 2,723,443        |
| 6 თვიდან 1 წლამდე             | -                                   | -                                                                 | 198,294                            | 198,294          |
| 1-5 წლამდე                    | -                                   | -                                                                 | 672,682                            | 672,682          |
| 5 წელზე მეტი                  | -                                   | -                                                                 | -                                  | -                |
|                               | <b>2,723,443</b>                    | <b>-</b>                                                          | <b>870,976</b>                     | <b>3,594,419</b> |

**„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
ქართულ ლარში**

“აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში” ითვალისწინებს ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ლიკვიდურობის რისკის შეფასებისა და მართვის დროს, განსაკუთრებით მის ფულად რესურსებსა და სავაჭრო მოთხოვნებს. “აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში”-ს ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები მნიშვნელოვნად აღემატება ფულადი სახსრების გადინების მიმდინარე მოთხოვნებს. ფულადი ნაკადები სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებიდან ყველა ხელშეკრულებით სრულდება 12 თვის განმავლობაში.

## 20 კაპიტალის რისკის მართვა

“აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში” ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადეკვატური უკუგებით.

“აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში”-ს მენეჯმენტი აფასებს კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ამ ანალიზისას გაითვალისწინება “აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში”-ს სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. “აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში” მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის კორექტირების მიზნით “აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში”-მ შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

“აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში” კაპიტალზე კონტროლს ახორციელებს კაპიტალის თანაფარდობით სრულ დაფინანსებასთან.

თანხები, რომლებსაც “აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში” კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

|                                            | 12/31/2024       | 12/31/2023       |
|--------------------------------------------|------------------|------------------|
| მთლიანი კაპიტალი                           | 5,129,267        | 5,420,205        |
| მინუს: ნადდი ფული და ფული ბანკში           | (1,297,135)      | (1,498,569)      |
| კაპიტალი                                   | <b>3,832,132</b> | <b>3,921,636</b> |
| მთლიანი კაპიტალი                           | 5,129,267        | 5,420,205        |
| იჯარები                                    | 719,479          | 870,976          |
| სრული ფინანსირება                          | <b>5,848,746</b> | <b>6,291,181</b> |
| კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან | <b>0.66</b>      | <b>0.62</b>      |

## 21 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

**„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
ქართულ ლარში**

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

|                               | 12/31/2024              |                           | 12/31/2023              |                           |
|-------------------------------|-------------------------|---------------------------|-------------------------|---------------------------|
|                               | საბალანსო<br>ღირებულება | სამართლიანი<br>ღირებულება | საბალანსო<br>ღირებულება | სამართლიანი<br>ღირებულება |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები    | 6,578,423               | 6,578,423                 | 6,111,112               | 6,111,112                 |
| ძირითადი საშუალებები          | 188,094                 | 188,094                   | 331,040                 | 331,040                   |
| ფული და ფულის ეკვივალენტები   | 1,297,135               | 1,297,135                 | 1,498,569               | 1,498,569                 |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 2,996,540               | 2,996,540                 | 2,723,443               | 2,723,443                 |
| საიჯარო ვალდებულებები         | 719,479                 | 719,479                   | 870,976                 | 870,976                   |

## 22 გაუთვალისწინებელი გარემოებები

### 22.1 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მძიმე ჯარიმებსა და საურავებს.

ზემოთ ხსენებული ფაქტის გამო წარმოიშობა საგადასახადო რისკი, რომელიც ახასიათებს განვითარებად ქვეყნებს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საგადასახადო მოთხოვნების შესაბამისად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს. თუმცა, შესაძლოა, რომ განსხვავებულმა ინტერპრეტაციებმა ეფექტი იქონიონ „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს მიერ ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებების გაანგარიშებაზე.

## 23 დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტორლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.

**„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
ქართულ ლარში**

- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია(ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

**23.1 ოპერაციები მენეჯმენტთან და ახლო ოჯახის წევრებთან.**

მენეჯმენტმა მიიღო შემდეგი ანაზღაურება წლის განმავლობაში, რომელიც ჩართულია ხელფასებსა და თანამშრომელთა სარგებელში

| <b>მენეჯმენტზე გაცემული ხელფასები</b>     | <b>2024</b>   | <b>2023</b>   |
|-------------------------------------------|---------------|---------------|
| ხელფასები და ბონუსები                     | 28,214        | 28,000        |
| <b>სულ მენეჯმენტზე გაცემული ხელფასები</b> | <b>28,214</b> | <b>28,000</b> |

**24 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად “აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში”-ს ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 17 ოქტომბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გამოშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ “აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში”-ს ფინანსურ ანგარიშგებაზე, არ დაფიქსირებულა.

**25 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება**

ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე, კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება და შესაბამისად არ მზადდებოდა ფინანსური ანგარიშგები. შესაბამისად, მოზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული არ არის შეჯერება, თუ როგორ იმოქმედა წინა სააღრიცხვო ნორმებიდან ფასს-ზე გადასვლამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ საქმიანობაზე და ფულად ნაკადებზე. ფასს-ის მიღებამდე კომპანია აწარმოებდა ჩანაწერებს იმ პოლიტიკების გამოყენებით, რომლებიც გარკვეულწილად ემყარებოდა საგადასახადო რეგულაციებს.

ფასს-ის პირველადი გამოყენება განხორციელდა 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

კომპანიამ თანდართული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოიყენა ფასს 1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება. კომპანიამ გაატარა ყველა სავალდებულო კორექტირება.

კომპანიის მიერ პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების ეფექტი წარმოდგენილია ქვემოთ:

**„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
ქართულ ლარში**

---

*მნიშვნელოვანი საკითხები*

კომპანიის ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას (მანამდე ბალანსი), ორ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას (მანამდე მოგება-ზარალის ანგარიშგება), ორ ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და ორ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის შესადარის ინფორმაციას ყველა წარდგენილი ანგარიშგებისთვის.

*ფულადი ნაკადების ანგარიშგება*

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირველად მომზადდა პირდაპირი მეთოდით, რომლის მიხედვითაც წარმოდგენილია საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი შემოდიანებები და გადახდები უშუალოდ — ანუ ანგარიშგებაში აისახა რეალური ფულადი მოძრაობები, გარეშეა არაფულადი ოპერაციები, დარიცხვები ან გადავადებები, ასევე საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები და შემოსავლები.

*ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები*

ფასს-ის პირველად გამოყენებისას კომპანიამ განსაზღვრა პირველად თანდართული სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები, ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 17 ოქტომბერს:

პაოლო ორსინი  
ხელმძღვანელი

---

**„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“  
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
ქართულ ლარში**

---

*მნიშვნელოვანი საკითხები*

კომპანიის ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას (მანამდე ბალანსი), ორ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას (მანამდე მოგება-ზარალის ანგარიშგება), ორ ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და ორ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას და განმარტებითი შენიშვნებს, მათ შორის შესადარის ინფორმაციას ყველა წარდგენილი ანგარიშგებისთვის.

*ფულადი ნაკადების ანგარიშგება*

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირველად მომზადდა პირდაპირი მეთოდით, რომლის მიხედვითაც წარმოდგენილია საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი შემოდიანებები და გადახდები უშუალოდ — ანუ ანგარიშგებაში აისახა რეალური ფულადი მოძრაობები, გარეშეა არაფულადი ოპერაციები, დარიცხვები ან გადავადებები, ასევე საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები და შემოსავლები.

*ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები*

ფასს-ის პირველად გამოყენებისას კომპანიამ განსაზღვრა პირველად თანდართული სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები, ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის ჩათვლით.

**ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 17 ოქტომბერს:**

**პაოლო ორსინი**

**ხელმძღვანელი**

---



IRD ENGINEERING

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“

---

მმართველობის ანგარიშგება - 2024

## სარჩევი

|                                                      |   |
|------------------------------------------------------|---|
| კომპანიის მიმოხილვა                                  | 3 |
| სტრატეგია, განვითარების გეგმა                        | 4 |
| ფინანსური შედეგების მიმოხილვა და რისკების მენეჯმენტი | 5 |
| რისკების მართვა                                      | 5 |
| ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები      | 6 |
| ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ         | 7 |
| საკადრო პოლიტიკა                                     | 7 |
| ორგანიზაციის სტრუქტურა                               | 8 |
| ანტი-კორუფციული პოლიტიკა                             | 8 |

## კომპანიის მიმოხილვა

“აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში” დარეგისტრირდა გადასახადის გადამხდელად 2014 წლის 18 სექტემბერს.

“აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში” რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მიხეილ ასათიანის ქუჩა, N 5.

საიდენტიფიკაციო კოდი: 404478677.

მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

“აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში”-ს დირექტორი არის პაოლო ორსინი, YA8647596, YB4635223 /იტალია.

“აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში”-ს ჰყავს დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება აიარდ ენჯინერინგ, 06293511009 /იტალია.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა IRD Engineering – წამყვანი იტალიური საინჟინრო-საკონსულტაციო კომპანიაა, რომელიც მთელ მსოფლიოში სთავაზობს ინფრასტრუქტურული პროექტების ფართო სპექტრისთვის ყოვლისმომცველ გადაწყვეტილებებს. კომპანია სრულიად დამოუკიდებელია ნებისმიერი სამშენებლო ან სამრეწველო ჯგუფისგან და თითოეული პროექტისთვის უზრუნველყოფს ინდივიდუალურად მორგებულ მომსახურებას, ზუსტად გათვლილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

IRD Engineering-ის საქართველოს წარმომადგენლობის ძირითადი შემოსავალი მიღებულია ტენდერზე დაფუძნებული საერთაშორისო ინფრასტრუქტურული პროექტებიდან, რაც განსაზღვრავს კომპანიის შემოსავლის სტრუქტურასა და ფინანსური მოდელის თავისებურებებს.

ადგილობრივი დონეზე, კომპანიის ერთ-ერთი მთავარი დამკვეთი არის საქართველოს საგზაო დეპარტამენტი, რომელსაც IRD Engineering უწევს საკონსულტაციო და ტექნიკურ მომსახურებას შესაბამის ტენდერულ პროცედურებში გამარჯვების საფუძველზე.

აღნიშნული პროექტები მოიცავს როგორც სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, ისე სხვა საჯარო ინფრასტრუქტურის განვითარებას და ზედამხედველობას. გზების დეპარტამენტი ახორციელებს დაკვეთებს, რომელიც დაფინანსებულია დონორი ორგანიზაციებით, როგორიცაა WB, ADB, EBRD ან სახელმწიფო დაფინანსებით.

მომსახურების მიმართულებები მოიცავს:

- გენერალურ დაგეგმარებას
- ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევებს
- გეოტექნიკურ კვლევებს
- გარემოსდაცვით შეფასებებს
- კონცეპტუალურ და დეტალურ საინჟინრო დიზაინს
- მშენებლობის ზედამხედველობას
- ხარისხის უზრუნველყოფასა და ხარისხის კონტროლს
- პროექტის მართვას
- შესყიდვების მხარდაჭერას

- კაპასიტეტის გაძლიერებასა და ტექნიკურ დახმარებას

“აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში” დასაქმებულია 48 თანამშრომელი და 16 ექსპერტი.

### **სტრატეგია, განვითარების გეგმა**

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ მუდმივად ცდილობს გაზარდოს ბაზარზე თავისი წილი როგორც ახალი დამკვეთების მოზიდვის, ასევე არსებული კლიენტებთან თანამშრომლობის გარმავეების გზით. კომპანიის ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტული უპირატესობა არის მაღალკვალიფიციური, თუმცა შედარებით იაფი შრომითი რესურსი, რაც დამკვეთებს საშუალებას აძლევს მიიღონ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროდუქტი ოპტიმალურ ფასად.

### **საერთაშორისო წარმომადგენლობის ოპერაციული სტანდარტები**

IRD Engineering-ის წარმომადგენლობის სახით, კომპანიას სავალდებულოდ უწევს საერთაშორისო კომპანიის სტატუსის დაცვა, რაც გულისხმობს, რომ:

- ყველა ძირითადი საოპერაციო ხარჯი (მათ შორის სახელფასო) უნდა იყოს გაწეული საქართველოს ტერიტორიაზე;
- მომსახურების შექმნაში მონაწილეობენ საქართველოში დაფუძნებული სპეციალისტები, რაც უზრუნველყოფს ლოკალური ბაზრის ჩართულობას და ღირებულების ადგილზე გენერირებას.

ამ პოლიტიკის შესაბამისად, განხორციელდა ადამიანური რესურსების ოპტიმიზაცია და ამ ეტაპზე კომპანია ამჯობინებს:

- საქართველოში მყოფი ან ქვეყანაში რელოკაციისთვის მზადყოფნის მქონე კადრების მობილიზებას;
- ადგილობრივ პროფესიონალებს სთავაზობს მოტივაციის სისტემას, რომელიც მოიცავს: საშუალოზე მაღალი ანაზღაურებას, მოქნილ სამუშაო პირობებს, თანამედროვე სამუშაო სივრცეს, ჯანმრთელობის დაზღვევას და სხვა კონკურენტულ ბენეფიტებს.

### **ტექნოლოგიური ცვლილებებისადმი მდგრადობა**

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ხელოვნური ინტელექტის განვითარებამ ზოგადად შეამცირა მოთხოვნა რიგი ტიპის სტანდარტულ სერვისებზე, IRD Engineering-ის მომსახურებები დაფუძნებულია ინდივიდუალურად მორგებულ, კომპლექსურ საინჟინრო პროექტებზე, რომლებიც განსაკუთრებულ ანალიზს და ინჟინრულ ჩარევას საჭიროებს.

ამგვარი სპეციფიკა უზრუნველყოფს კომპანიის ტექნოლოგიური პროგრესისადმი მდგრადობას და ამ ეტაპზე არსებული და ახლო მომავალში დაგეგმილი AI-მოდულები ვერ იძლევიან სრულფასოვან ალტერნატივას კომპანიის მომსახურებებისათვის.

### **ბიზნესის განვითარება და ფინანსური პერსპექტივა**

უახლოესი პერიოდისთვის კომპანიის სტრატეგიული მიმართულებებია:

- არსებული კლიენტების შენარჩუნება და მათი პროექტების ხარისხიანად შესრულება (დაფუძნებული მოკლევადიან და გრძელვადიან ხელშეკრულებებზე);
- ახალი დამკვეთების მოზიდვა, რომელშიც კომპანიას ხელს უწყობს მის მიერ უკვე ჩამოყალიბებული რეპუტაცია, ფასზე ორიენტირებული ხარისხიანი სერვისი და ეფექტური ოპერაციული მოდელი;
- ტენდერებზე დაფუძნებული ბიზნესგაფართოება, როგორც ადგილობრივ დონეზე.

მენეჯმენტის პროგნოზით, 2025 წლის შემოსავალი სავარაუდოდ შეადგენს დაახლოებით 6 მილიონ ლარს, რაც საკმარისია კომპანიის საოპერაციო საჭიროებების დაფინანსებისა და მოგების გენერირებისთვის.

კომპანია აგრძელებს საქმიანობას გრძელვადიანი სტაბილურობისა და ზრდის პირობებში, მოერგო თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს და წარმატებით იყენებს ადგილობრივი რესურსების უპირატესობებს საერთაშორისო ხარისხის სერვისების შესაქმნელად.

#### ფინანსური შედეგების მიმოხილვა და რისკების მენეჯმენტი

მთავარი ფინანსური ინდიკატორები:

| ლარი          | 2024       | 2023       |
|---------------|------------|------------|
| ამონაგები     | 14,099,657 | 17,933,878 |
| წმინდა მოგება | 3,732,484  | 5,660,657  |

#### რისკების მართვა

**საკრედიტო რისკი** - საკრედიტო რისკი არის ფინანსური ხარჯი, რომელიც წარმოიშვება როდესაც მყიდველი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვადლებულებებს და დავალიანება ყალიბდება საექვო მოთხოვნად. ფინანსური აქტივების არსებული მთლიანი ნაშთი არის მაქსიმალური შესაძლო საკრედიტო რისკი. შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბრისათვის საკრედიტო რისკი არის შემდეგი:

კომპანია საკმაოდ ეფექტურად ახერხებს პარტნიორებთან თანამშრომლობას, და გაწეული მომსახურების სანაცვლო ანაზრაურებას ყოველთვის გონივრულ ვადაში იღებს.

კომპანია 2024 წლის განმავლობაში არ იყენებდა საკრედიტო რისკის დაზღვევის სხვა ფინანსურ ინტრუმენტს.

სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი წლის ბოლოს არის 3,921,161 ლარი.

**ლიკვიდობის რისკი** - ლიკვიდობა განსაზღვრავს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობას მიმდინარე ფინანსური აქტივებით.

კომპანიის ყოველთვიური ხარჯების დაახლოებით 70%-ს შეაგდენს გადასახდელი ხელფასები. რისკის თავიდან აცილების მიზნით, მენეჯმენტს შემუშავებული აქვს პოლიტიკა რომ ფულადი სახით კომპანიის საბანკო ანგარიშზე ყოველთვის იყოს განთავსებული 3 თვის ხელფასის ოდენობის თანხა.

31.12.2024 მდგომარეობით საბანკო ანგარიშებზე კომპანიას ჰქონდა დაგროვილი ფულადი სახსრები: 1,297,135 ლარი.

თავის განკარგულებაში არებული თავისუფალი ფულადი სახსრები კომპანიის საკრედიტო რისკს 100% აზღვევს.

**სავალუტო რისკი** - რადგანაც კომპანიას აქვს ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, მეტ წილად აშშ დოლარში და ევროში,

საბანკო ანგარიშზე სახსრები ინახება ასევე უცხოურ ვალუტაშიც.

ამის გათვალისწინებით ლარის კურსის ცვალებადობა აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში პირდაპირ პროპორციულად ზემოქმედებს კომპანიის ფინანსურ შედეგზე. 2024 წელს ლარმა მეტნაკლებად შეინარჩუნა მდგრადი კურსი.

**საბაზრო რისკები** - ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან ერთად იზრდება.

**ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები, არაფინანსური ინდიკატორები, რომლებიც დაკავშირებულია სუბიექტის საქმიანობასთან;**

კომპანიის 2024 წლის ფინანსური მდგრალობის მაჩვენებლები:

$$\text{ლიკვიდურობის კოეფ.} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} = \frac{10,192,200}{5,497,905} = 1.85$$

$$\text{სწრაფი ლიკვიდურობა} = \frac{\text{მიმდინარე მარაგები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}} = \frac{10,157,936}{5,497,905} = 1.85$$

$$\text{წმინდა მოგება} = 3,732,484 = 0.73$$

მოგება საკუთარ  
კაპიტალზე(ROE) =

საკუთარი კაპიტალი

5,129,267

კომპანიის 2023 წლის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები:

$$\text{ლიკვიდურობის კოეფ.} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} = \frac{8,961,302}{4,190,724} = 2.14$$

$$\text{სწრაფი ლიკვიდურობა} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები- მარაგები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}} = \frac{8,934,625}{4,190,724} = 2.13$$

$$\text{მოგება საკუთარ კაპიტალზე} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} = \frac{5,660,657}{5,420,205} = 1.04$$

მიმდინარე წელს მიღწეული შედეგები გვაძლევს რწმენას, რომ მომავალში „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ შეძლებს გააუმჯობესოს მიღწეული მაჩვენებლები. დასახული მიზნების თანმიმდევრული მიღწევით, რთული ამოცანების გადაჭრით, „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს განზრახული აქვს გააგრძელოს მუშაობა ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, მართვის სისტემის სრულყოფაზე, დამკვეთების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებაზე.

#### ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ


კომპანიაში ადგილი არ ჰქონია საკუთარი აქციების შეძენას

#### საკადრო პოლიტიკა

კომპანია ზრუნავს თავისი თანამშრომლების უსაფრთხოებაზე და კომფორტულ სამუშაო გარემოზე. კომპანია ცდილობს დაიცვას შრომის კოდექსით გათვალისწინებული ყველა უსაფრთხოების ნორმა. თანამშრომელთა სამუშაო ადგილი აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. 2024 წლის

31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში მუშაობდა 48 თანამშრომელი და 16 ექსპერტი. 2024 წელში განახლდა კორპორატიული ჯანმრთელობის დაზღვევა, და სთავაზობს თანამშრომლებს დაზღვევის საშუალო პაკეტს როგორც დამატებით ბენეფიტს.

#### ორგანიზაციის სტრუქტურა



#### ანტი-კორუფციული პოლიტიკა

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ იჩენს ნულოვან ტოლერანტობას კორუფციისა და თაღლითობის მიმართ. ქრთამის გაცემის ქმედებები არის ყოველად დაუშვებელი, და ეწინააღმდეგება „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს ბიზნეს ინტერესებს. მენეჯმენტის მკაფიო დამოკიდებულების შედეგია, რომ „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ ერთხელაც არ დაფიქსირებულა ბიზნეს ეთიკის საწინააღმდეგო ქმედება.


„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 17 ოქტომბერს და ადასტურებენ:

**პაოლო ორსინი**

**პოზიცია: ხელმძღვანელი**

31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში მუშაობდა 48 თანამშრომელი და 16 ექსპერტი. 2024 წელში განახლდა კორპორატიული ჯანმრთელობის დაზღვევა, და სთავაზობს თანამშრომლებს დაზღვევის საშუალო პაკეტს როგორც დამატებით ბენეფიტს.

#### ორგანიზაციის სტრუქტურა



#### ანტი-კორუფციული პოლიტიკა

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ იჩენს ნულოვან ტოლერანტობას კორუფციისა და თაღლითობის მიმართ. ქრთამის გაცემის ქმედებები არის ყოველად დაუშვებელი, და ეწინააღმდეგება „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს ბიზნეს ინტერესებს. მენეჯმენტის მკაფიო დამოკიდებულების შედეგია, რომ „აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ ერთხელაც არ დაფიქსირებულა ბიზნეს ეთიკის საწინააღმდეგო ქმედება.

„აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში“-ს მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 17 ოქტომბერს და ადასტურებენ:

პაოლო ორსინი

პოზიცია: ხელმძღვანელი

IRD ENGINEERING